# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 37. | კვირა 21 აპრილი 1902 წ. | გაზეთის № 1785.

## არყი

(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას)

ბეჩავო არყო, კლდის თავსა
სდგეხარ თავჩაკიდებული!
ზამთარში გაზრობს სიცივე,
საქმე გაქვს გაჭირვებული;
გაზაფხულს ზვავი გაქცლავს
მგრგვინავი, აყვირებული.
ზაფხულში გკორტნის მთიბელი
შენს ჩრდილში მოგრილებული.

ქვიშა გწვავს ჭიუხემისა,
მზისაგან ადუღებული!
შენ მაინც გიყვარს ტიალი
კლდე შავად აყუდებული,
ეკვრი, ფესვები ლოდებზედ
გაქვს მაგრა ჩაჭიდებული.
ან წყალს რასა სვამ? ან საზრდოს
ნეტა საიდან შოულობ?—
ვითომ არც სიბეჩავეს გრძნობ,
არც სხვისგან რასმე სთხოულობ!
— მიყვარს და ადტაცებული
შავფრინავ მთასა მშობელსა,
ვერც მნახავთ ლუკმის გულისთვის
სხვის წინ მუხლებზედ მცოცველსა.
არც ვგმობ მშიერ-მწყურვალი
ამ თხერ წუთი სოფელსა!..—
ერთი რო ნისლმა დანამოს
ზღვათა ნასუფთქი ორთქლითა,
გულს გავიგრილებ მხურვალსა
ცის მონაწური ოფლითა,
დავეწაფები ხარბადა,
შავსუტავ მწვანე ფოთლითა.
მერე მადლს ვწირავ შემოქმედს
ცად აწეული გრძნობითა!

1901 წ.

თ. რაზიკაშვილი

### ბალის ცისფერი ყვავილები

ამბავი კატულ მენდესისა

I

ჭაბუკნო, ქალწულნო, ნუ იქნებით გონიერნი, მეტისმეტად ჭკვიანნი წლოვანობის შეუფერებლად! კაცობრიობა იმავ თავითვე მოხუცის ბებიის როლს თამაშობს და ამ ბებიის გასაფხიზლებლად კი საჭიროა ბავშვები, მუსიკა თქვენის სიცილისა. დეე თქვენმა მოღუშულმა დამრიგებლებმა გირჩიოთ, უარ-ჰყავით სიმხიარულე და ბედნიერება, გონიერნი იყავითო,— ნუ დაუჯერებთ; ნუ დაუჯერებთ აგრეთვე დაღვრემილ ადამიანებს, როდესაც სიტკბოება-ბედნიერებაზე ლაპარაკის დროს გიხატავენ ბედნიერების სიმწარეს და ცხოვრების არარაობას. არა და არა! იცხოვრეთ, იმხიარულეთ, დასტკბით, იმღერეთ და სიმღერის დროს ყვავილები შეაყარეთ სახეზე „გამოცდილებას“, ამ ბებრუცუნა მატყუარას. იყავით ახალგაზდანი, თუ მართლა ახალგაზდები ხართ. ნუ დაჰკარგავთ ძვირფას წუთებს ამაო ყოყმანში: დრო ჩქარა მირბის და სამუდამოდ თან მიაქვს სიტკბოების წამები, და თუ დაიგვიანეთ ბედნიერების ყვავილის მოსაწყვეტად, ის დაგემართებათ, რაც დაემართა ოდესღაც ბაღდადის მახლობლად მდებარე ერთ სახელმწიფოში ძლიერის მეფის უმცროს ასულს.



პროფესორი ცაგარელი
(30 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილეის გამო).

ეხლავე გიამბობთ, თუ როგორ დაისაჯა ეს მეფის ასული თავის გადაჭარბებულის გონიერებისთვის.

II

იმ დღეს, როდესაც მეფის ასუ ლი თხუთმეტის წლისა შესრულდა მდინარის ნაპირას დასეირნობდა დ ამ სეირნობის დროს იგი საუცხოვ ბალის წინ გაჩნდა. ადამიანის ოცნებ ვერ წარმოიდგენდა ამ ბაღზე ულა მაზეს და თვალ-წარმტაცს რასმე თავის დღეში მეფის ასულს არ ენახ იმ გვარი ყვავილები, როგორიც ა საოცნებო ბალს ამკობდა. სიდიდეზ რომ არაფერი ვთქვათ, რადგანაც სიდიდით იგი მთელს მსოფლიოს წარ მოადგენდა, ჰყვაოდნენ იქა ყვავილ ნი, ვარდის ალივით გაბრწყინვებულ ნი და ცისფერ ფოთლებით შემკულ ნი; ეს ყვავილები ისეთი სხიოსანნ და მშვენიერნი იყვნენ, ისეთ სურნე ლებას ჰფენდნენ, რომ კაცს ·ეგი

ნებოდა, მქროლვარე ქარს სამოთხის ყვავილნი ამ ბაღში გად-მოუტანიაო.

იმ დროს, როდესაც აღტაცებული პრინცესა სტკბებოდა საოცნებო ბაღის ცქერით, მოესმა ვიღაცის მეტად საამური ხმა:

— გამარჯობა თქვენი! ხომ მართალია, რომ ეს არის ეხლა თხუთმეტის წლისა შესრულდით?—და ამ სიტყვებთან ერთად ბუჩქებიდან გამოჩნდა პაწაწკინა ტანის არსება, ძკირფას ფარჩის კაბაში გამოწყობილი და ძვირფასის თვლებიან გვირგვინით შემკული, რომლის ქვეშაც ბრწყინავდა ოქროს ფერი ხუჭუჭა თმა. ადვილად მიხვდებოდა ყველა, რომ ეს არსება ფერია იყო. ფერიამ ღიმილით განაგრძო:

— თქვენ მიაღწიეთ იმ წლოვანებას, როდესაც ქალს ნება ეძლევა ამ ბაღში შესვლისა, სადაც ხარობენ მხოლოდ ისეთი ყვავილნი, რომელნიც მოწყვეტის ღირსნი არიან. შედით, შედით, მეფის ასულო. ესეც კია, შეშის მჭრელის ან მოსარეცხის ქალი რომ იყვეთ, ამ ბაღის კარი გაიღებოდა თქვენს წინაშე, რადგანაც დღეს დილით, ტოროლას გალვიძებისას, თხუთმეტი წელიწადი შეგისრულდათ. შედით, ნუ გეშინიანთ, მოსწყვიტეთ ყვავილება და თაიგული შეჰკარით: იმის სურნელებით მთელი თქვენი სიცოცხლე აივსება. აი ნამდვილი სახელები სხიოსან ყვავილებისა: „სინაზე“, „კოცნა“, „ღიმილი“, ბოლოს აი ამ სულ პაწაწკინა, ეს არის ეხლა გაფურჩქნულ და ვოთლებ ქვეშ ამოფარებულ ყვავილებს ჰქვიან „პირველი სიყვარული“.



(გარდაცვალებიდან 50 წლის თავი)



**დ. ს. სიპიაგინი**

† შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფილი

ადვილად წარმოსადგენია, რარიგ გაუხარდებოდა მეფის ასულს: ნებას აძლევდნენ, დაუბრკოლებლად თვალ-წარმტაც ბაღში საუცხოვო ყვავილები მოეწყვიტა და თან წაეღო. გულით მადლობა გადაუხადა კეთილს ფერიას და სირბილით მივარდა გაფურჩქვნილს ყვავილებს, რათა თაიგული შეეკრა, მაგრამ...

III

მეფის ასულის წინ წადგა საზიზღარი ქონდრის კაცი მოტიტვლებული თავითა და თეთრის წვერით. მეფის ასულს პაწაწკინა მოხუცად ეჩვენა ეს ქონდრის კაცი, რომელმაც ხველებითა და კრუსუნით დაიწყო:

— უთუოდ ეხლა მიღებულია,—სთქვა იმან—რომ ახალგაზდა ქალები უმხლებლებოდ დარბოდნენ მინდორ-ველზე. თქვენის მამის სასახლეში, პრინცესა, უთუოდ არ არიან მოსამსახურენი, რომელთა მუშაობასაც თვალ-ყურის გდება უნდა, არ არის სარეცხი, რომელსაც დალაგება ეჭირება, მურაბის ქილები, რომელთა რიგზე დაწყობაც საჭიროა. სანაძლეოს დავდებ, თუ დღეს გაგეგოთ, მთელია თუ არა მამი-თქვენის მანტია, ან დაკერება ესაჭიროება თუ არა თქვენის ძმის ფეხსაცმელს. დაბრუნდით სახლში და იმის მაგიერ, რომ ეს მომხიბლავი ყვავილები სწყვიტოთ, შედით სამზარეულოში და თვალ-ყური ადევნეთ მოსამსახურეებს: არ დალიონ ღვინო, რომელიც საჭმლის შესაზავებლად არის დანიშნული...

— კეთილმა ფერიამ ნება დამრთო...

— კეთილი ფერია იმის ანგარიშს არ აძლევს თავს, რასაც ამბობს, — გააწყვეტინა სიტყვა მეფის ასულს ქონდრის კაცმა,—ძალიან ცუდი რჩევა მოუცია ფერიას. ამასთან იცოდეთ, რომ ამ ბაღის ცისფერი ყვავილები ისე მშვენიერნი რო-



**ვ. კ. ფონ-პლევე**

სტატს-სეკრეტარი, სენატორი, შინაგან საქმეთა ახილი მინისტრი.

დი არიან, როგორცა სჩანან. ლაპარაკი არ უნდა, ყველა ყვავილი თვალით მიმზიდველია; მაგრამ, თუ მოსწყვეტავთ, თითებს დაიწვავთ, რადგანაც ყვავილები საშინელ ალისაგანაა მოქსოვილი; იცოდეთ დასწყევლით თქვენს სითამამეს. ხელში შეგრჩებათ მხოლოდ ფერმიხდილი და დამჭკნარი ყვავილები... რადგანაც ნამდვილი მათი სახელები „სიმწარე“ „სასოწარკვეთილება“ და „ცრემლებია“; უფრო ნაკლებად საშიშს კი სახელად „დაკარგულ ბედნიერების მოგონება“ ჰქვიან.

IV

ეჭვი არ არის, მიხვდები, მკითხველო, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა მეფის ასული. ვისთვის დაეჯერებინა? ფერიისა თუ ქონდრის კაცისთვის? ვისთვის გაეგონა? მეტად იზიდავდა ასულს საუცხოვო ბაღის სხივოსანი ყვავილები; მაგრამ მეორეს მხრით ეშინოდა, ეგონა უბედურებას შე ვამთხვევენ ეს მიმზიდველი ყვავილებიო. არ იცოდა, რას დასდგომოდა. დაფიქრებული სახლისაკენ გაემართა იმ იმედით, რომ მოვისაზრებ ყოველსავე, მოველაპარაკები გამდელს, ერთის სიტყვით—ცოტა დროს მოვიგებ და გადავწყვეტავ რასმესაო ან კი რას დაჰკარგავდა? ხვალ, ზეგ, სხვა დროს შევიდოდა თვალ-წარმტაც ბაღში და შეჰკრავდა მშვენიერ ყვავილების თაიგულს. ეს ბაღი თავისის მშვენიერის ყვავილებით ხომ მდინარის ნაპირასაა, სასახლის მახლობლად!...

ლებით, რომელთაგანაც კეთილმა ფერიამ ნება დართო სურნელოვანი თაიგული შეეკრა. მაგრამ ამავე დროს როგორ ეშინოდა არ დასწოდა პატარა თითები, როგორ შიშობდა „სიმწარის“, „სასოწარკვეთილების“, „ცრემლებისა“, და „დაკარგულ ბედნიერების მოგონების“ სასახლეში მიტანას! გაიარა წელიწადმა, განვლო კიდევ მრავალმა სხვა წელიწადმა. პრინცესას მამა გადაიცვალა; ტახტზე იმის შვილი, პრ ნცესას ძმა, ავიდა. საწყალი პრინცესა, ცრემლებს აფრქვევდა დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის, იმან გათხოვებაც არ მოისურვა. სწორედ შესაბრალისი იყო მეფის ასული: ვერავითარ გადაწყვეტილებას, ვერავითარ აზრს ვერ დასდგომოდა. რამდენჯერ ფანჯარაზე გადაყუდებული, ხელებს იშვერდა საუცხოვო ბაღისაკენ, რომელიც შორით მოსჩანდა. მაგრამ,—ჰოი ბედო!—გძელ და თეთრ წვერა ქონდრის კაცის სიტყვებმა ღრმად გაიდგეს ფესვები იმის ხსოვნაში... პრინცეს დიასახლისობას შეუდგა, მოსამსახურეების მუშაობას თვალყურს ადევნებდა, ყუთებში საცვალს აწყობდა. ალაგებდა მურაბის ქილებს. მაგრამ ბოლოს, ზაფხულის ერთ ცხელ დილას, უთხრა თავის თავს, რომ შეუძლებელია ასე ცხოვრება, მთელი სიცოცხლის ასე გაჭირებაო, და მოულოდნელად გადასწყვიტა, რაც უნდა მოხდეს, წავა მომხიბლველ ბაღში და იქ შეჰკრავს ყვავილთა თაიგულს, თაიგულს, რომელიც ერთსა და იმავე დროს იზიდავდა და აშინებდა კიდეც. გადასწყვიტა და წავიდა კიდეც მარტოდ-მარტო, უმხლებლებოდ.



ბ ედნიერი დედა.—სურათი კორტენტისა.

V

მაგრამ ბევრმა დღემ გაიარა მას შემდეგ და პრინცესასკი ვერაფერი გადაეწყვიტა, რას არ გამეტებდა, ოღონდ იაპონური ჯამები, ჩინური ვაზები თავის ოთახში გაევსო „კოცნით“, „ღიმილით“, უფრო კი, „პირველის სიყვარულის მომხიბლველობით“. ერთის სიტყვით, ყველა იმ საუცხოვო ყვავი-

VI

ახალმა შიშმა შეიპყრო ეხლა პრინცესა: ვაი თუ ის საუცხოვო ცეცხლმფრქვევი ყვავილები დასჭკნაო,—ფიქრობდა მეფის ასული. მაგრამ მალე დამშვიდდა: იმის თვალ-წინ უწინდელებრ დიდი და მშვენიერი ბაღი იყო გაჭიმული. ისეთი თვალ-წარმტაცი იყო ეს ბაღი, ისეთი სურნელება მოდიოდა

იქიდან, რომ კაცს ეგონებოდა, სამოთხის ყვავილები ქარს აქ გადმოუტანიაო. აღელვებული, სიხარულისაგან აღტაცებული გაქანდა პრინცესა კარებისაკენ; ის იყო ბაღში უნდა შესულიყო, მაგრამ...

— მეფის ასულო,—დაინახა რა, სთქვა ფერიამ, ძვირფას გვირგვინში გამოწყობილმა, რომლის ქვეშიდანაც ოქროს ფერი კულულები მოსჩანდა,—მეფის ასულო, ამ ბაღში შესვლა, სადაც მოსაწყვეტი ყვავილები ხარობს, თქვენთვის ახლა აღკრძალულია, და თუნდაც რომ უძლიერესის ხელმწიფის, მთელის ქვეყნის მპყრობელისა და ვარსკვლავთ დედოფლის ასული იყოთ,—ამ ბაღის კარები მაინც აღარ გაიღება თქვენ წინაშე, რადგანაც ბევრმა, ძრიელ ბევრმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ერთს მშვენიერს დილას, ტოროლას პირველ გალვიძებისას, თქვენ თხუთმეტი წელიწადი შეგისრულდათ. აბა ჩაიხედეთ წყალში და დააკვირდით თქვენს სახეს.

პრინცესამ მდინარეს მიაშურა და დაინახა ჭაღარით შემოსილი თავისი სახე და ჩამქრალი თვალები.

— მშვიდობით! თქვენ ორმოცდა ათი წელიწადი შეგისრულდათ უკვე!—წარმოსთქვა თვალ-ცრემლ მორეულმა კეთილმა ფერიამ.

მეფის ასული კი ლონე-მიხდილი, დაეშვა იქვე ქვაზე საუცხოვო ბაღის ჩაკეტილ კარებ წინ და გამწარებულის ტირილით ხელებს იმტვრევდა.

ოლზეჟ

## სიფხიზლის საზოგადოების წევრთან




— ავად გახლავარ ექიმო. გთხოვთ მოწმობა მომცეთ ერთი თვით დამითხოვონ.

**ექიმი.** შენ ჯრაყსა სვამ განა?

— ცოტას, სადილ წინ თითო ჭიქას.

**ექიმი.** არ დაგითხოვ. შენ ლოთობა გინდა! არ შეიძლება.



— მომეცით მოწმობა ავადმყოფობისა. მინდა ვიწამლო.

**ექიმი.** სასმელებსა სვამ?

— ღმერთმა დამიფაროს! მე, ექიმო, წევრი ვარ სიფხიზლის საზოგადოებისა.

**ექიმი.** აა, ძალიან სასიამოვნოა. ახლავე მოგცემ მოწმობას.

## ტფილისის საკრედიტო ბანკის კრებაზე




— ბატონებო, თქვენ ამბობთ ამ ანგარიშისა არა გესმისთ-რა, მე მკითხავთ განმარტებას. მჯერა, ბატონებო, რომ თქვენ არ გესმით, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე თქვენზე ნაკლებად მესმის, თუმცა ანგარიში ჩემი შედგენილია...


# განცხადება

—

**ყოველ დღიური გაზეთი**

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანი დამატებით**

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ-Пурцели“ (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).


გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1902 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.